<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, უძოს ქუჩის შესახვევისთვის საზოგადო მოღვაწის მედეა ღამბაშიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, უძოს ქუჩის შესახვევს მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის მედეა ღამბაშიძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებ

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

უძოს შესახვევი
III კვარტალი
II რიგი
II რიგი
II რიგი
01.17.10.002.306
01.17.10.003.024
01.17.10.002.032
01.17.10.002.381
01.17.07.030.661
01.17.10.001.002
01.17.10.002.237
01.17.10.002.075
01.17.10.002.237
01.17.10.002.244
01.17.10.001.125
01.17.10.001.019
01.17.10.002.238
01.17.10.002.296
01.17.10.002.278
01.17.10.002.247
01.17.10.002.369
01.17.10.002.104
01.17.10.002.369
01.17.10.002.018
01.17.10.002.125
01.17.10.007.006
01.17.10.007.008
01.17.09.034.106
01.17.10.007.055
01.17.10.007.056
01.17.10.007.003
01.17.10.007.002
01.17.10.007.076
01.17.09.035.070
01.17.10.003.012
01.17.10.005.012
01.17.10.005.131
01.17.10.005.088
01.19.36.014.130
01.19.36.014.005
01.19.36.006.021
01.19.36.008.009
01.19.36.008.009
01.19.36.004.020
01.19.36.004.027
01.19.36.004.002
01.19.36.006.060
01.19.36.003.109
01.19.20.002.006
01.19.20.002.107
01.19.20.002.009
01.19.20.007.068
01.19.20.007.026
01.19.20.007.095
01.19.20.008.074
01.19.20.008.003
01.19.20.008.071
01.19.20.008.004
01.19.20.008.073
01.19.20.008.002
01.19.20.007.012
01.19.20.007.079
01.19.20.009.003
01.00.039
01.00.039
01.00.039
NAPR
ბანდოლ ბებეფოლის ქუჩა
ეფრემ ეფრემიძის ქუჩა
ალექსანდრე ზულუკიძეს ქუჩა
ზურაბ ბეგლარიშვილის ქუჩა
ოსიპ ბანდოლიშვილის ქუჩა
ბეთლემ ბეთლემიშვილის ქუჩა
ეფრემ ეფრემიძის ქუჩა
ეფრემ ეფრემიძის ქუჩა
ეფრემ ეფრემიძ

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-0323020112**
თარიღი: **20/01/2023**

როგორც თქვენთვის ცნობილია, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით ახორციელებს რიგ ქუჩებზე გზათა ქსელების მოწესრიგებას. ისნის რაიონში, უძოს ქუჩის შესახვევი გეგმარებითი პარამეტრებით განვითარებულია და რეალურად წარმოადგენს ქუჩას, მისი ფაქტობრივი შესასვლელი მდებარეობს არა უძოს, არამედ შანდორ პეტეფის ქუჩასთან. კომისიის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება შესახვევის ქუჩად ჩამოყალიბების და მისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სტუდენტის, გასაბჭოების შემდგომ ემიგრირებული მედეა ღამბაშიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

გთხოვთ, უზრუნველყოთ შესაბამისი პროცედურების გატარება.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

მედეა ღამბაშიძე

(1899-1975)

პირველი ქართველი სტუდენტი ქალი, ვინც 1918 წელს დაარსებულ სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა. მან 19 წლის ასაკში პირველმა შეიტანა განცხადება თსუ-ში და პირველი სტუდენტური ბარათიც მისცეს. ქართველი ემიგრანტი, ცნობილი ქართველი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის, ვახტანგ ღამბაშიძის შვილი.

მედეა ღამბაშიძე 1918 წელს ახლადგახსნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი ქალი იყო. მან 19 წლის ასაკში პირველმა შეიტანა განცხადება და პირველი სტუდენტური ბარათიც მისცეს, იგი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე სწავლობდა: "ჩავეწერე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. მახსოვს, მინდოდა ყველა ლექციის მოსმენა, აკაკი შანიძის ლექციით დავიწყე. მისივე რჩევით დავიწყე სომხური ენის სწავლა. 3 გაკვეთილის შემდეგ გადავედი არაბულზე. გ. ახვლედიანთან დავიწყე სანსკრიტის სწავლა. ძალიან მომწონდა ლურსმული წერა. მახსოვს კიდევ შალვა ნუცუბიძის სიცოცხლით სავსე ლექციები ფილოსოფიაზე და დიტო უზნაძის ნაზი, საინტერესო ლექციები ფსიქოლოგიაზე. ვისმენდი აგრეთვე ბატონ ივანე ჯავახიშვილის ლექციებს საქართველოს ისტორიის შესახებ". იგი იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაარსებული პირველი ქართული სატანვარჯიშო სპორტული საზოგადოების "შევარდენის" აქტიური წევრიც, იგი 1919 წელს ინგლისური ენის შესასწავლად ბიძასთან წავიდა ინგლისში. მისი მამა იყო ქართველი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, პარიზის ქართული სათვისტომოს მეორე თავმჯდომარე - ვახტანგ ღამბაშიძე, რომელიც ჰიგიენის კათედრას ხელმძღვანელობდა, საქვეყნოდ ცნობილმა ექიმმა ვახტანგ ღამბაშიძემ დაარსა კურორტი ცემი. ვახტანგის მამას, დავით ღამბაშიძეს, "დიდ დეკანოზად" მოიხსენიებდნენ თანამედროვეები. იგი 27 წლის განმავლობაში ჟურნალ "მწყემსის" გამომცემელ-რედაქტორი იყო. ღამბაშიძეების ოჯახთან მეგობრობდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, რომელიც იყო მედეას ნათლია. მედეას

დედა ვანდა ჰოპე-ღამბაშიძე სტუდენტებს ინგლისურ ენას ასწავლიდა ივანე ჯავახიშვილის მოწვევით. მედეას მშობლები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს უსასყიდლოდ კითხულობდნენ. თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებიდან სამი წლის შემდეგ მოხდა საბჭოთა ოკუპაცია და მისი ოჯახი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო, მან უნივერსიტეტის დამთავრება ვერ შეძლო. ოჯახი კონსტანტინოპოლში გადასახლდა, სადაც მედეა ღამბაშიძემ და მისმა მშობლებმა წითელ ჯვარში დაიწყეს მუშაობა, ხოლო შემდეგ საბჭოთა რეპრესიებს გაექცნენ საფრანგეთში.